ავტობიოგრაფია

მე, შორენა ნოდარის ასული წიქარიძე, დავიბადე 1981 წლის 29 სექტემბერს ქ.თბილისში. 1988 წლის სექტემბრიდან 1999 წლის ივნისამდე ვსწავლობდი ქ.თბილისის 127-ე საშუალო სკოლაში. 1999 წლის სექტემბრიდან 2004 წლის ივნისამდე კი ვსწავლობდი ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე სამართალმცოდნეობის სპეციალიზაციით და სასწავლების დასრულების შემდეგ მომენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.

2005 წლის მარტიდან 2006 წლის მაისამდე ვიყავი თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორი, ხოლო 2006 წლის მაისიდან 2009 წლის ნოემბრამდე კი ამავე რაიონულ პროკურატურაში ვახორციელებდი პროკურორის უფლებამოსილებას.

პროკურატურაში მუშაობის დროს არაერთი ლექცია-სემინარის მონაწილე ვარ, მათ შორის, როგორც მსმენელი, ასევე რამდენიმე სემინარზე როგორც ტრენერი.

2009 წლის ნოემბრის თვიდან 2011 წლის თებერვლამდე ვიყავი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.

2011 წლის 21 თებერვლიდან 2016 წლის ივლისის თვემდე ვიყავი გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. ამ პერიოდის განმავლობაში, როგორც მოსამართლე, ვიხილავდი როგორც სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს, ასევე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებს.

2016 წლის 14 ივლისიდან 2019 წლის 02 დეკემბრამდე უფლებამოსილებას ვახორციელებდი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

2019 წლის 02 დეკემბრიდან დღემდე ვარ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 20 ოქტომბრის 1/293 გადაწყვეტილებით გავმწესდი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

2019 წლის ივლისიდან ვარ საჯარო მმართველობის დოქტორი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი).

2017 წლის სექტემბრიდან დღემდე ვარ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი სისხლის სამართლის მიმართულებით.

2004 წლის სექტემბერში ჩაბარებული მაქვს ადვოკატთა ტესტირება საერთო სპეციალიზაციით.

2004 წლის სექტემბერში ჩაბარებული მაქვს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

2005 წლის ნოემბერში ჩაბარებული მაქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

გავლილი მაქვს შემდეგი ტრენინგები:

იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროგრამა „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (USAID-PROLoG) ტრენერთა ტრენინგი **კომუნიკაცია სასამართლო სხდომის დარბაზში (23-24 თებერვალი, 2020წ.), ტრენერთა ტრენინგი მედიაციის თაობაზე (24 თებერვალი, 2020წ.) და ტრენერთა ტრენინგი უმცირესობის უფლებები (14-16 მაისი, 2020წ.).**

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციია და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროგრამა „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (USAID-PROLoG) **ტრენერთა ტრენინგი** თემაზე **„ეფექტური სამართალწარმოება გენდერული თანასწორობის საკითხებზე“**, ასევე ტრენერთა ტრენინგი თემაზე **„თანასწორუფლებიანობის ეფექტური დაცვა: პრაქტიკული კურსი“** - აპრილი/2019 ქ.თბილისი

„ლიდერობა მოსამართლეებისთვის“ USAID-PROLoG EAST-WEST MANAGEMENT INSTITUTE – The National Judical College - ივნისი / 2018 აშშ, ნევადა, რენო

იუსტიციის უმაღლესი სკოლა, გაეროს ბავშვთა ფონდი, ევროკავშირის პროექტი „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“, დეკემბერი / 2015 სპეციალური მომზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მათ შორის, არასრულწლოვანთა ურთიერთობის მეთოდიკა და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზები და ადამიანის უფლებები ევროპაში, მაისი-ივნისი/2013 - საფრანგეთი, პარიზი, სტრასბურგი

საქართველოს გენერალური პროკურატურა, ივნისი/2008 - ივნისი/2008 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები, არასრულწლოვანთა პედაგოგიკა და ფსიქოლოგია

Council of Europe, საქართველოს მთავარი პროკურატურა, აპრილი/2008 - აპრილი/2008 პროკურორ ტრენერთა ტრეინინგი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სწავლებასთან დაკავშირებით

BRITISH COUNCIL-საქართველოს მთავარი პროკურატურა, ივნისი/2007 - სექტემბერი /2007 ტრეინინგი თანამედროვე მენეჯმენტის ტექნოლოგიებში

საქართველოს მთავარი პროკურატურა, UNICEF-საქართველო, აპრილი/2007 - აპრილი/2007 ტრენერთა ტრენინგი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე

BRITISH COUNCIL-პროკურატურის რეფორმის მხარდაჭერის პროექტი, ფაზა II, თებერვალი/2007 - თებერვალი/2007 ტრენინგი პროკურორ ტრენერებისთვის

მოსამართლეთა და პროკურორთა ტრეინინგი თემაზე **„მოსამართლეებისა და პროკურორების როლი ადამიანის უფლებების დაცვაში“** მარტი/2006

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სექტემბერი/2003 - ივნისი/2004 ერთწლიანი კურსი კონსტიტუციურ სამართალში

ამასთან, ვარ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ორგანიზებული 40 სემინარის მონაწილე.

მყავს მეუღლე - [redacted] და სამი შვილი - [redacted]

[redacted]

შორენა წიქარიძე